მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2011 წლის 21 იანვარი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №26 დადგენილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონიმიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ა. კალანდაძე**

შეტანილი ცვლილებები:

დანართი №1

მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ამოცანებს.
4. სამსახურის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
5. სამსახურის სრული სახელწოდებაა ,,მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური”.
6. სამსახური შედგება ოთხი განყოფილებისაგან:

ა) არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება;

ბ) ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილება;

გ) ადგილობრივ მოსაკრებელთა განყოფილება;

დ) ტურიზმის განყოფილება.

მუხლი 2. სამსახურის კომპეტენცია და უფლებამოსილებანი

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით მისი შესრულების კოორდინაცია;

ბ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტის შემუშავება და განსახილველად წარდგენა, მონაწილეობის მიღება მის საჯარო განხილვაში;

გ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისათვის თანხებისა და სხვა მატერიალური რესურსების მოზიდვის ორგანიზება;

დ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე მომზადებული წინადადებების შეფასება და დასკვნების შემუშავება;

ე) წინადადებების მომზადება იმ პროგრამებში მონაწილეობისათვის, რომლებიც შეეხება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, კონტროლი ქონების დაცვისა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ზ) წინადადებების მომზადება მუნიციპალური ქონების კატეგორიის შეცვლის შესახებ;

თ) მუნიციპალური ქონების მართვის შესახებ წინადადებების მომზადება;

ი) ადგილობრივი ქონების გამოყენების მონიტორინგი და მათი ექსპლუატაციის ეფექტურობის შეფასება; ამორტიზებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროექტების მომზადება;

კ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიწის მართვის, გამოყენებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვა;

ლ) წინადადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულისთვის გადმოცემის შესახებ;

მ) ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;

ნ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ო) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ მოწყობას და დასახლებების დაგეგმარებას, მშენებლობის კოორდინაციას;

ბ) წინადადებების მომზადებას თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა-გაუქმების, მათი ზღვრების დადგენისა და შეცვლის თაობაზე;

გ) თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვას;

დ) უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტების მომზადებას მშენებლობაზე ნებართვების გაცემასთან, მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან, მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადებასთან; საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებასთან დაკავშირებით; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

3. ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) თვითმმართველი ერთეულის სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით მისი შესრულების კოორდინაციას;

ბ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტის შემუშავებასა და განსახილველად წარდგენას, მონაწილეობის მიღება მის საჯარო განხილვაში;

გ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისათვის თანხებისა და სხვა მატერიალური რესურსების მოზიდვის ორგანიზებას;

დ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე მომზადებული წინადადებების შეფასება და დასკვნების შემუშავება;

ე) წინადადებების მომზადება იმ პროგრამებში მონაწილეობისათვის, რომლებიც შეეხება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, კონტროლი ქონების დაცვისა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ზ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალური ქონების კატეგორიის შეცვლის შესახებ;

თ) თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის გეგმის პროექტის მომზადებას;

ი) ადგილობრივი ქონების გამოყენების მონიტორინგის და მათი ექსპლუტაციის ეფექტურობის შეფასებას; ამორტიზებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროექტების მომზადებას;

კ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიწის მართვის, გამოყენებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას;

ლ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე;

მ) წინადადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულისთვის გადაცემის შესახებ;

ნ) სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას;

ო) ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას;

პ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ჟ) შესაბამისი წინადადებების მომზადებას თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვასთან და განკარგვსთან დაკავშირებით;

რ) კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ს) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. ადგილობრივ მოსაკრებელთა განყოფილება უზრუნველყოფს:

ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და დასუფთავება-გატანაზე ზედამხედველობას, ორგანიზაციებთან და ცალკეულ იურიდიულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას. ახორციელებს კონტროლს შესაბამისი თანხების ამოღებაზე.

5. ტურიზმის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური განვითარების პროგრამებისა და პროექტების შესახებ წინადადებების შემუშავებას; აგრეთვე ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და შეთავაზება;

ბ) მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და საკურორტო სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება;

გ) მუნიციპალიტეტში ტურისტთა მოზიდვის მიზნით ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მომზადება;

დ) ტურიზმისა და საკურორტო სფეროში დასაქმებულ კერძო მეწარმეთათვის სარეკლამო პროდუქციის გავრცელებაში ხელის შეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსების საშუალებების, კვების ობიექტების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების და სხვა მონაცემთა ბაზის შექმნა;

ვ) უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის უფროსი

ა) სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი;

ბ) წარმართავს სამსახურის ძირითად საქმიანობას და აწესრიგებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

გ) პასუხს აგებს გამგეობის მიერ სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

დ) ამ დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს სამსახურის დებულებას, მოსამსახურეთა (თანამშრომელთა) ფუნქციონალურ განაწილებასა და სამუშაო გეგმას;

ე) ანაწილებს სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივ მოვალეობებს; გამგებელს წარუდგენს წინადადებებს მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ვ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

3. სამსახურს ჰყავს თანამშრომლები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს საკრებულო.

2. სამსახურის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის საფუძველია, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტი.